საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030813295461120

№ 07-39/ო **24 / მარტი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში „მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში“ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გასატარებელი საკარანტინო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის № 180 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის № 58 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე–5 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდეს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სტრუქტურული ერთეულის „მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის“ (შემდგომში - კრიზისული ცენტრი) ოფისში მოქალაქეთა/ბენეფიციართა მიღება და კრიზისული ცენტრის თანამშრომლებმა სამუშაო (მ. შ. ბენეფიციარებისთვის მომსახურების გაწევა) შეასრულონ დისტანციურად.

2. კრიზისულ ცენტრში შესასვლელთან განთავსდეს სააგენტოს ცხელი ხაზის ნომერი (116 006) და კრიზისული ცენტრის თანამშრომელთა ტელეფონის ნომრები.

3. დაევალოს მონიტორინგის და პროექტების დიზაინის დეპარტამენტს უზრუნველყოს კრიზისული ცენტრის თანამშროლების მიერ საქმიანობის დისტანციურად განხორციელების კონტროლი.

4. ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე, კრიზისული ცენტრის დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს უნარჩუნდებათ შრომის ანაზღაურება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი

ხელმოწერილია/ მტკიცდასმულია ელექტრონულად

მერი მაღლაფერიძე